განახლებულია 01.05.2026 წ.

საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება	**საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი**
საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	**გერმანული ფილოლოგია/German Philology**
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	ჰუმანიტარული მეცნიერებების ბაკალავრი გერმანულ ფილოლოგიაში/Bachelor of Arts in German Philology
პროგრამის ხელმძღვანელ(ებ)ი	თეონა ბერიძე, ასოცირებული პროფესორი - theona.beridze@gmail.com
პროგრამის სტრუქტურა/ECTSმოცულობა, სასწავლო გეგმა (იხ. დანართი №1)	180 ECTS
სწავლების ენა	ქართული ენა
საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობა	✓ ერთიანი ეროვნული გამოცდები; ✓ მობილობის წესით ჩარიცხვა; ✓ ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე, კანონმდებლობით დადგენილი წესით.
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი	✓ მისცეს სტუდენტს დარგის ფართო ცოდნა, შეასწავლოს გერმანული ფილოლოგიის ძირითადი ასპექტები: ლინგვისტური და ლიტარატურათმცოდნეობითი თეორიები, გერმანისტიკის ძირითადი ცნებები და ტერმინოლოგია, გერმანული ენისა და გერმანულენოვანი ლიტერატურის განვითარების ეტაპები, გერმანულ ენობრივ სივრცეში კომუნიკაციის პრინციპები; ✓ შეასწავლოს გერმანული ენის სტრუქტურა, მისი თავისებურებები, ჩამოუყალიბოს ენობრივი კომპეტენციის B2 დონით გათვალისწინებული მოსმენის, წაკითხულის გააზრების, წერითი და ზეპირმეტყველების პრაქტიკული უნარ–ჩვევები, გააცნოს გერმანულენოვანი ლიტერატურა და კულტურის ძირითადი საკითხები; ✓ გამოუმუშავოს ისეთი ზოგადი კომპეტენციები, როგორიცაა კომპლექსური საკითხების გააზრება, მონაცემთა შეგროვება, კვლევის მეთოდების შერჩევა, სინთეზისა და ანალიზის უნარი, არგუმენტირებული მსჯელობა და დასაბუთებული დასკვნების ჩამოყალიბება, კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნება; ✓ უცხო ენისა და კულტურის შესწავლის გზით ხელი შეუწყოს სტუდენტის ინტერკულტურული და ინტერდისციპლინური კომპეტენციების დახვეწა – განვითარებას,სოციალური უნარების გაუმჯობესებას, დაეხმაროს სტუდენტს აკადემიური და პროფესიული კეთილსინდისიერების მნიშვნელობის, ეთიკური ნორმების დაცვის აუცილებლობის გაცნობიერებაში; ✓ გამოუმუშავოს სტუდენტს დამოუკიდებლად სწავლის დაგეგმვის, დროისა და დავალების ორგანიზების, თვითშეფასებისა და თვითაქტუალიზაციის უნარ-ჩვევები. დაეხმაროს შემდგომი უწყვეტი განათლებისა და პროფესიული განვითარების, ინოვაციებისთვის ღიაობისა და ცვლილებებთან ადაპტაციის მნიშვნელობის გაცნობიერებაში; ✓ მისცეს სტუდენტს დასაქმების ფართო შესაძლებლობა, გახადოს კონკურენტუნარიანი თანამედროვე,

	ცვალებად შრომის ბაზარზე, სადაც შეძლებს მიღებული ცოდნის, კვალიფიკაციისა და კომპეტენციების სრულ და საზოგადოებისთვის სასარგებლოდ რეალიზებას.
სწავლის შედეგები	✓ კურსდამთავრებული აღწერს ზოგადფილოლოგიურ, ლინგვისტურ, თარგმანმცოდნეობით და ლიტერატურათმცოდნეობით თეორიებთან დაკავშირებულ ცნებებსა და მნიშვნელობებს, განსაზღვრავს გერმანისტიკის ძირითად ტერმინოლოგიას; ✓ აღწერს გერმანული ენისა და გერმანულენოვანი ლიტერატურის განვითარების ეტაპებს, გერმანულ ენობრივ სივრცეში კომუნიკაციის მთავარ პრინციპებს, გერმანული კულტურის ძირითად საკითხებს; ✓ ცნობს და განსაზღვრავს გერმანული ენის სტრუქტურულ, ფონეტიკურ, გრამატიკულ, ლექსიკურ–სემანტიკურ და სტილისტიკურ თავისებურებებს; ✓ კურსდამთავრებული იყენებს მიღებულ ცოდნას უცხოენოვან, ძირითადად გერმანულენოვან სივრცეში კომუნიკაციისთვის - იგებს და ინტერპრეტირებას უკეთებს გერმანულენოვან ტექსტს, ახდენს საკუთარი აზრის გერმანულ ენაზე წერილობით და ზეპირი ფორმით გადმოცემას, ზეპირ და წერილობით თარგმანს, მონაწილეობას იღებს დისკუსიაში; ✓ კურსდამთავრებული იყენებს მიღებულ ცოდნას ფილოლოგიის სამეცნიერო, კვლევით და გამოყენებით სფეროებში, ახდენს კომპლექსური საკითხების გააზრებას, მონაცემთა შეგროვებას, კვლევის მეთოდების შერჩევას, ანალიზსა და დასაბუთებული დასკვნების გამოტანას. შეუძლია არგუმენტირებული მსჯელობა, განსაზღვრავს და აფასებს კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნების მნიშვნელობას; ✓ კურსდამთავრებულს შეუძლია დამოუკიდებლად დაგეგმოს სწავლა, დასახული მიზნის შესაბამისად ორგანიზება გაუწიოს დროსა და შესასრულებელ ამოცანებს, მიიღოს გადაწყვეტილებები, მოახდინოს თვითშეფასება და დაგეგმოს თვითაქტუალიზაციის გზები; ✓ კურსდამთავრებული აღიარებს უწყვეტი განათლებისა და პროფესიული განვითარების მნიშვნელობას, ინოვაციებისა და ცვლილებებთან ადაპტაციის აუცილებლობას. აფასებს საკუთარ საჭიროებებს და განსაზღვრავს პრიორიტეტებს, რაც შესაძლებლობას აძლევს სწავლა გააგრძელოს განათლების შემდეგ საფეხურზე ან დასაქმდეს შრომის ბაზარზე; ✓ კურსდამთავრებული პატივს სცემს ზოგადასაკაცობრიო ღირებულებების, ჰუმანიზმისა და დემოკრატიის მაღალ იდეებს, აღიარებს ჯანსაღი სოციალური ურთიერთობების, გუნდური მუშაობის, ტოლერანტობისა და კულტურული მრავალფეროვნების მნიშვნელობას, იაზრებს პირად პასუხისმგებლობას, აკადემიური და პროფესიული კეთილსინდისიერებისა და ეთიკური ნორმების დაცვის აუცილებლობას.